# იმერეთი

**ფასი:** წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.**
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

შაბათი 9 აგვისტო

**მისამართი:** ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 125 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 125


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთათ ისე ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სათ: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ომობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція ,,ИМЕРЕТИ“

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ერთ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

უზომო მწუხარებით მოცული ანტონ ქურციკიძე გაუწყებთ ნათესავთ და მახლობელ მეგობრებს, რომ 9 აგვისტოს—შაბათს, საფირჩხიის სასაფლაოზე ეკლესიაში გადახთილი იქნება საათისთ ერთმეტზე, დილით, ორმოცის წირვა და პანაშვიდი ჩემის დაუვიწყარი ამხანაგის

## ქექელას

სულის მოსახსენებლათ.

---

ნადვორნი სოვეტნიკი ფილიმონ შიოს ძე რეხვიშვილი, ნინო დავითის ასული რეხვიაშვილისა, ანდრია, პეტრე, კალისტრატე, ნინო და შუშანიკი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ათს ამ თვეს, დღით კვირას, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი შვილისა და ძმის **გრიშასი** (გრიგოლის), წირვა დანიშნულია არქიელის გორაზე, გოჭოურას სასაფლაოზე, დილის ათ საათზე.

---

### ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი **საკუთარი** ამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

---

### ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. **მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. **ნადირაძე.**—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. **ბეთანოვი.**—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12 1/2—2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| ბ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით | 4 1/2—5 1/2 |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. | 5 1/2—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი**

---

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** იღებს **კანისა, ვენერიული, და სქესობრიუძლურებით** ავადმყოფთ დილის 12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

### დამეკარგა ატესტატი 471,

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

---

## ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოთ:

ქალაქში ხმა გავრცელდა, თითქოს ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები მომავალი ოთხი წლ სათვის (1914—1918 წ.წ.) სხვა დროისათვის გადადებულიყოს. ამის გამო ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს

### ხმა სიმართლეს მოკლებულია:

არჩევნები მოხდება მდგომარე 1914 წლის 14 სექტემბერს,

და იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ მდგომარე აგვისტოს 14 რიცხვისათვის გამოსაცხადებელ საბოლოო საარჩევნო სიაში,

დაუყონებლივ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასადის ,,ნედოიმკები“.

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

### ამ დღეებში
ქუთაისში გამოვა ალმანახი

## ,ქუთაისის საქმიანობა‘.

ალმანახში დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Ивановская 40. ალმანახი გამოვა ქალაქის ხმოსანთა არჩევნების მოახლოების გამო და შიგ მოთავსებული იქნება წერილები ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეობაზე.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ. **მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი ვ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

ქ. ქუთაისში
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.
მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.
**ტელეფონი 153.**

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5— 8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, დ სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---




---

### მისი იმპერატორებით უდიდებულესობა მოსკოვში.

**მოსკოვი.** 5 აგვისტოს, დილის 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში მოხდა უმაღლესი გამოსვლა მიძინების ტაძრისაკენ. გიორგის დარბაზში მოთავსდნენ ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, მინისტრები სამხედრო, საზღვაო, მრეწველობისა, განათლებისა და ფინანსთა, სახელმწიფოს კონტროლერი, სინოდის ობერ-პროკურორი, მიწათ-მოწყობისა და მიწათ-მოქმედობის მთავარი მმართველი, სახელმწიფო საბჭოს და სათათფიროს თავჯდომარენი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენერალ-მაიორი ჯუნკოვსკი, მოსკოვის ქალაქის უფროსი და გუბერნატორი, ადმინისტრაციისა და სასამართლო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, უცხოეთის მეგობარ სახელმწიფოთა კონსულები, მოსკოვის თავად-აზნაურობა გუბერნიის წინამძღოლ სამარინის მეთაურობით, მაზრის მარშლები და დეპუტატები, მოსკოვის ქალაქის საბჭო, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელ ბრინსკის მეთაურობით, მოსკოვის გუბერნიის სხვა ქალაქებისა და დაბების მოურავები, საგუბერნიო ერობის სამართველოს თავჯდომარე და წევრნი, სამაზრო ერობის სამართველოების თავჯდომარენი, მოსკოვის სოვდაგრობა, საბირჟო საზოგადოება საბირჟო კომიტეტის თავჯდომარე კრესტოვნიკოვის მეთაურობით და ვაჭართა წოდების მამასახლისი ბულოჩკინი. ანდრიას დარბაზში მოთავსდნენ მეფის ამალა და უმაღლესი სამხედრო პირნი. ალექსანდრეს დარბაზში მოთავსდნენ თავად-აზნაურთა მეუღლენი, ქალაქის მანდილოსანნი, სოვდაგართა და უცხოეთის კონსულთა მეუღლენი. ვლადიმირის დარბაზში იყვენ წარმომადგენელნი ხელოსანთა წოდებისა, მდაბიო მოქალაქეთა საზოგადოებისა და სტაროობრადცები. 11 საათზე შიდა დარბაზებიდან ანდრიას დარბაზში შემობრძანდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ეკატერინოსლავის პოლკის 1 ლეიბ-გვარდიის ფორმით და ანდრიას ლენტით. დედოფალსაც ანდრიას ლენტი ჰქონდა მხარზე. მეფის ასულთ ეკატერინეს ლენტები ჰქონდათ. წინ მიდიოდა კამერ-ფურერი და გოფ-ფურერი, ორი ცერემონიმეისტერი საბუროვი და ევრეინოვი, ობერ-ცერემონიმეისტერი ბარონი კორფი, სასახლის კავალრები და სასახლის მოხელენი ორწყებად. მეფეს წინ უძღოდა ობერ-გოფ-მარშალი გრაფი ბენკენდორფი, უკან ახლდა სასახლის მინისტრი გრაფი ფრედერიკსი და მორიგენი გენერალ-ადიუტანტი მაკსიმოვიჩი, კონტრ-ადმირალი გრაფი ჰეიდენი და ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი შერემეტიევი. მათს მერე მიდიოდნენ მემკვიდრე და დიდი მთავარი ოლღა ნიკოლოზის ასული, ტატიანა ნიკოლოზის ასული, მარიამ ნიკოლოზის ასული და ანასტასია ნიკოლოზის ასული. ალექსანდრეს დარბაზში შეკრებილთა მისალმებაზე მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა მოწყალედ უპასუხებდა და გიორგის დარბაზში შებრძანდა. თავად-აზნაურთა ჯგუფის მახლობლად გაჩერდა. თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლმა სამარინმა მეფეს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „სასიყვარულო მეფევ, მხურვალე აღფრთოვანებით გეგებება მოსკოვის თავად-აზნაურობა ამ მრისხანე წამს ხალხის განსაცდელისა. შენთან ცოცხალის კავშირით გადაბმულთ სული გვიკაჟდება დიადი ღვაწლისთვის. ჩვენ ყველანი შენთანა ვართ და შენთვისა ვართ. უყოყმანოდ და შეუკრთომლად დაეყრდნე ხალხის სულის შეუმუსვრელ ძალას. ღმერთმა წაგიმართოს ხელი რუსეთის მთლიანობისა და სახელისათვის ბრძოლაში, დაე, შენის მეფურის ბრძანებისა მებრ ახალ სიცოცხლის გზაზე შესდგეს მთელი სლავიანობა. გამხნევდი, მეფეო, რუსეთისავ, მთელი რუსეთი შენთან არის“. სამარინის სიტყვას საერთო ,,ურა“ მოჰყვა.

მსვლელობა გიორგის დარბაზისაკენ გაემართა. მეფე მოსკოვის ქალაქის საბჭოს წარმომადგენელთა წინ გაჩერდა. ხელმწიფე-იმპერატორს მოსკოვის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბრიანსკიმ ძველებურ ჩუქურთმიან ხონჩით პურ-მარილი მიართვა და შემდეგი სიტყვით მიესალმა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! ღვთისა განგებამ მოუვლინა რუსეთს უდიდესი განსაცდელი, მაგრამ რუსის ხალხს არავითარი განსაცდელი არ აშინებს. რუსეთის ხალხის ისტორია მოწმობს, რომ რუსის ხალხი თავის მეფესთან ხელიხელ ჩაკიდებული განსაცდელიდან განახლებულის ძალ-ღონით გამოდის. დღეს, ახალ განსაცდელთა წუთსაც, რუსეთი მშვიდათ ეგებება მრისხანე ქარიშხალს. შური და მტრობა დასცხრა. მთელი ხალხი თავის მეფეს შეუერთდა. ვეღარავინ ვერ განაშორებს მათ. რუ-

სეთის დედაგული — მოსკოვი — გამოითხოვს თქვენთვის, ხელმწიფეო, უფლის ლოცვა-კურთხევას.

ამ ომის შემდეგ დამყარდება სამუდამო მშვიდობიანობა, ალებ-მიცემობასა, მეცნიერებისა და ხელოვნების ასაყვავებლათ. ასეთ დიად წუთს, უძველესი სატახტო ქალაქი მოგესალმებათ, ხელმწიფევ, მთელის რუსის ერის სახელით. როდესაც რუსეთის ხალხი და მეფის სურვილი გაერთიანებულია, არ არის ღვაწლი, რომლის შესრულებაც ვერ შესძლოს რუსის ხალხმა. გაჰბედე, ხელმწიფეო! ხალხი შენთან არის და ღმერთიც მფარველია „შენი“.

ბრიანსკის სიტყვას დიდი „ურა“ მოჰყვა.

მეფე მოსკოვის ერობის წარმომადგენელთა წინ გაჩერდა. გუბერნიის საერობო სამართველოს თავჯდომარემ შლიპემ შემდეგი სიტყვით მიჰმართა მეფეს.

დიდებულო ხელმწიფევ! მოსკოვის ერობა ბედნიერია, რომ შეუძლიან თაყვანი სცეს თავის მეფეს ამ მძიმე განსაცდელის დღეს. ჩვენს საყვარელ სამშობლოსა და მთელს ქვეყანასაც ჩამოაწვა ომიანობის შავი ღრუბელი. საერთაშორისო უმაგალითო ომის წინაშე ვსდგევართ. ასეთ წუთში მხოლოდ სიყვარულით შედუღებული ხალხი შესძლებს გაიტანოს და საკაცობრიო ისტორიაში თავისი ადგილი დაიჭიროს. თქვენს მეფურს მოწოდებას რუსეთის ყველა ეროვნებამ ერთხმად ხმა მისცა. მეფისა და ხალხის სულიერი კავშირის ძალა თავისის უწმიდესის ბრწყინვალებით გამოიხატა. ეგ არის თავდები და საძირკველი გამარჯვებისა. გრწამდეთ, მეფეო, რომ რუსეთის ერობა მთელს თავისს ძალღონეს ამ დიად საქმეს ანაცვალებს. სამშობლო მხარე, სადაც წარმოიშვა ერობა, განუსაზღვრელათ აღსავსეა ძლიერებით. მთელი რუსეთის ერობანი მჭიდროდ გაერთდნენ სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელათ. და ჩვენც მტკიცედ გვწამს, ხელეწიფეო, რომ რუსეთის ხალხი უმაღლეს თვითმპყრობელის წინამძღოლობით, სძლევს მტერს და სახელოვანად გამოვა მშვიდობიანობისა, კეთილდღეობისა და დიდების ასპარეზზე. ამ სიტყვას ძლიერი ,,ურაი'' მოჰყვა.

მათი უდიდებულესობა მერე მოსკოვის სოვდაგრობის წინ შესდგა. ვაჭართა წოდების მამასახლისმა ბულოჩკინმა მოახსენა:

„თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ. მოსკოვის სოვდაგრებს უღრმესადა სწამთ, რომ უზენაესი ღმერთი თავისს ლოცვა-კურთხევას გარდმოავლენს თქვენზე და თქვენს მამაც მხედრობაზე სამართლიან საქმის დასაცავად. თქვენს ფერხთა ქვეშე განვართხობთ ჩვენს უქვეშევრდომილესს გრძნობებს და გთხოვთ ირწმუნოთ, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ ძვირფას სამშობლოს გულისათვის, დაჭრილთა და სნეულთა ბედის შესამსუბუქებლად''.

ხანგრძლივი ,,ურა'' მოყვა ამ სიტყვას.

გიორგის დარბაზში სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ხელმწიფე იმპერატორმა მიმართა ყველა იქ დამსწრე წარმომადგენელთ შემდეგი სიტყვით:

**ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა კრემლში უმაღლესად გამოსვლისას.**

,,ომიანობის საფრთხის ჟამს, რომელიც ასეთის მოულოდნელობით და ჩემთა განზრახვათა წინააღმდეგ ჩემს მშვიდობის მოყვარე ხალხს დაატყდა თავს, ჩემთა თვითმპყრობელ წინაპართა ჩვეულებისამებრ, სულის ძალათა განმტკიცებას ვეძიებ მოსკოვის უძველესის კრემლის წმინდა და ზღუდეთა შორის. ძვირფას პირველ სატახტო ქალაქ მოსკოვის მკვიდრთა სახით მივესალმები მთელს ჩემს ერთგულს რუსეთის ხალხს, რომელიც ადგილობრივაც, სახელმწიფო საბჭოშიაც ერთსულოვნებით ვამოეხმაურა ჩემს მოწოდებას, უარჰყო განხეთქილებანი და შეუდგა სამშობლო ქვეყნისა და სლავიანების დაცვას. დიადს და საყოველთაო მისწრაფებაში შედუღდნენ ერთს მთელად განურჩევლად მოდგმისა და ეროვნებისა ჩვენი დიდებული სახელმწიფოს მკვიდრნი და ჩემთან ერთად არასოდეს არ დაივიწყებენ რუსეთის ამ ისტორიულ დღეებს. ასეთი გაერთიანება ჩემის გრძნობებისა და ფიქრისა მთელს ჩემს ხალხთან ულრმეს ნუგეშს მაძლევს და გულდამშვიდებითს რწმენას მინერგავს მერმისისას. აქედან, რუსეთის მიწა-წყლის ამ დედაგულიდან, ვუგზავნი ჩემს სახელოვან ლაშქარს და უცხოეთის მამაც მოკავშირეებს, ჩვენთან მახვილ ამართულთ შელახულ მშვიდობიანობისა და სიმართლის აღსადგენად მახვილ ამართულთ მხურვალე სალამს. ჩვენთან არს ღმერთი“.

მეფის სიტყვამ უმწვერვალესი აღფრთოვანება გამოიწვია. ბევრი ატირდა. „ურა“-ს ძახილი კრემლის სასახლის კედლებს აზრიალებდა და მთელს მოედანს მოეფინა.

მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა წითელ აივანზე გამოვიდა, მრავალი ათასი ხალხი აღტაცებულის ჟივილ-ხივილით მიესალმა. მეფე, მემკვიდრე და მეფის ასულნი მიძინების ტაძრისაკენ გაემართნენ. სამხრეთ ბჭესთან მოეგება ყოვლად სამღვდელო ტრიფონი მეფე მიხეილ თევდორეს ძის ჯვრით და სიტყვა მოახსენა. ტაძარში შებრძანდნენ. საკურთხეველში 160 სამღვდელო პირი იყო, არქიმანდრიტი, პროტოპრესვიტერი, არქიელი და სხვა სამღვდელოება. პარაკლისის გადახდის შემდეგ, მეფემ და მისმა სახლობამ თაყვანი სცეს წმ. გერმოგენის ნეშთს და ჩრდილოეთ ბჭის ჩუდოვის მონასტრისაკენ გაემართნენ, თაყვანი სცეს ანტონ მიტროპოლიტის ნეშთს. მერე ახდილ ეტლით კრემლის დიდ სასახლეში დაბრუნდნენ დიდ-ძალ ხალხის „ურა“-ს ძახილით.

**მოსკოვი.** ნაშუადღევის 4 საათზე მათი უდიდებულესობა **ხელმწიფე იმპერატორი** უავგუსტოესი ქალებით ქალაქის თვითმართველობის საწყობებში წავიდენ, რომელიც მოთავსებულია ვაჭართა სამართველოს შენობაში. ვაჭართა წოდების მამასახლისმა ხელმწიფე იმპერატორს სიტყვით მიმართა; შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის მოურავის მოადგილემ, რომელმაც მეფეს მოახსენა რაპორტი ქალაქის მიერ მიღებულ ზომების შესახებ, რომელიც ომიანობითაა გამოწვეული.

**მოსკოვი.** 6 აგვისტო. ოფიციალური. მეფემ მიიღო მოსკოვის ქალაქის მოურავის მოადგილის ბრიანსკის რაპორტი და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ, ბატონებო, იმ გრძნობისათვის, რომელიც ქალაქის მოურავის მოადგილემ გამოსთქვა, აგრეთვე ქალაქის მიერ მიღებულ ზომებისათვის, რომლის შესახებაც სიამოვნებით მოვისმინე მოხსენება. თქვენის პირით მადლობას ვუძღვნი მთელ პირველ სატახტო მოსკოვს ომის საჭიროებისათვის გულუხვ შემოწირულებისათვის. ძლიერ ამაღელვა გულუხვ შემოწირულებამ დაჭრილ და სნეულ მეომართა სასარგებლოთ და მთელი ჩვენი ძვირფასი სამშობლოს საკეთილდღეოთ.

# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**ვილნა.** ცნობა მოვიდა, რომ ჩვენმა ჯარმა დაიკავა გუმბინენი სოფელი, მასთან მტერს წაართვეს თორმეტი ზარბაზანი და ბევრი ტყვეთ წაიყვანეს.

**ლუცკი.** 6 აგვისტოს შუა დღისას სოფელ ჩაირში 18 ვერსის მანძილზე ლუცკიდან ჩვენი ცხენოსანთა მოწინავე რაზმი თავს წააწყდა ავსტრიელთა რაზმს და დაამარცხა, ტყვეთ წაიყვანეს 120 ვენგერთა გუსარი, 60 მოკლეს და დასჭრეს. ტყვები ლუცკში მოიყვანეს.

**რომი.** 6 აგვისტო. გადაიცვალა რომის პაპი.

**ლონდონი.** 6 აგვისტო. დაიწყო ხელის მოწერა სახაზინო ბილეთებზე, რომლის ჯამიც უდრის 15 მილიონ ფრანკს. გამოიცა 6 თვის ვადით სამხედრო საჭიროებისთვის. წინდაწინვე ხელის მოწერამ ხაზინას 42მილიონი მისცა.

ოტავიდან იტყობინებიან, რომ კანადის მთავრობამ პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა ომის საჭიროებისათვის 10 მილიონის გადასადებლათ.

**პარიზი.** 6 აგვისტო. მინისტრთა საბჭომ მოიწონა სენის დეპარტამენტის პროექტის დადგენილება, რომლითაც „ავენგო დ, ალლემან“-ს დაერქვა ავენიუ „ჟანჯორეს“-ი და ბერლინის ქუჩას ლიეჟის.

**კოპენჰაგენი.** კორდ ბიურო ვენიდან იუწყება, რომ იმპერატორი ფრანც იოსების თავჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთო საიმპერიო, ფინანსთა, სამხედრომ და ორივე პრემიერ მინისტრმა.

**კოპენჰაგენი.** 7 აგვისტო. „ბერლინერ ტიტენდე“-რი იუწყება, მთავრობის წრეებში აღიძრა კითხვა, რომ აკრძალულ იყოს დანიიდან გერმანიაში ცხენების გაყიდვა.

**კოპენჰაგენი.** 6 აგვისტო. ბერლინის სატელეგრაფო ბიურო „ნორდენი'' იტყობინება, რომ იაპონიის საელჩოს, ახლო მომავალში გამგზავრების გამო, პოლიცია იცავს საელჩო შენობას. ბერლინში იაპონელთა კლუბში არავინ დადის. იაპონელი სტუდენტები გავიდენ ქალაქ მიუნხენიდან, ნარბურგიდან და გალლედან.

გერმანიის მთავრობამ გამბურგის გზით დასაკლავ საქონლის შემოყვანის ნება დართო.

გერმანიის ვაჭრები დასაკლავ საქონელს დანიაში ყიდულობენ.

**ქრისტიანია.** სტორტინგმა ერთხმათ მიიღო 15 მილიონ კრონის კრედიტი, საერთაშორისო მდგომარეობით გამოწვეული საჭიროებისთვის. ნორვეგის ბანკმა სარგებელი ექვსი პროც. ხუთამდი დაიყვანა.

**სოფია.** 6 აგვისტო. საღამოს მეფემ მიიღო თალაათბეი და ხალბეი.

**პეტერბურგი.** 7 აგვისტო. სიგიაკოვკოსთან ერთმა ჩვენმა აფიცერთაგანმა — სადარაჯოს უფროსმა აჰკაფა ორი ავსტრიელი აფიცერი. ს. ბორაჟის სამხრეთით ჩვენი ცხენოსანის ჯარის ნაწილმა გააპო ცხენოსან დარაჯთა რაზმი და გააფუჭა მტრის ტელეგრაფი. დაბრუნებისას გარეკა კრასნოსელიციდან მტრის როტა, დაიკავა ბლოგკაუზი და წამოიღო რამდენიმე ცალი იარაღი. ასევე გაიმარჯვა ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა კოროსტოვკაშიაც.

31 ივლისს, ბრძოლის შემდეგ, ავსტრიელებმა კელცი დასტოვეს და სამხრეთდასავლეთისკენ დაიწიეს. 1 აგვისტოს ჩვენს, გალიციისკენ წასულ, ცხენოსან ჯარს რამდენიმე შეტაკება ქონდათ ბეჟიცის რაიონში, რომლის შემდეგაც ავსტრიელებმა მთელი რაიონი დასტოვეს. რკინის გზა მრავალ ადგილას დანგრეულია. ჩაშლილია მტრის ტელეგრაფი. დაზვერამ ბევრი საყურადღებო ცნობა მოიტანა. ნარილასთან (?) ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა მტრის ცხენოსან ჯარის ნაწილზე. მოხდა ხელჩართული ბრძოლა, რომლის შემდეგაც ავსტრიელ მხედრებიდან მხოლოთ ზოგიერთმა მოახერხა გაქცევა, დანარენები, ასჩეხეს. ოცდაცხრა ივლისს სოკალის მახლობლათ ჩვენ ცხენოსან ჯარს ბრძოლა ქონდა მტრის ქვეითად ა ცხენოსან ჯართან; მოწინავე პოზიციებიდან გამოდევნილი ავსტიელები ტყეებში დაიმალენ. ეს პოზიცია გამაგრებული იყო კაცის სიმაღლე თხრილებით, ბლინდეჟებით და მავთულის ლობეებით. ჩაიგდორა ხელში სოკალის ჩრდილოეთით ტყე, ჩვენმა ჯარმა ტყვიის მტყორცნელებისა, თოფისა და ზარბაზნის ცეცხლით აიძულა მტერი დაეტოვებია პოზიცია და შეიჭრა ქალაქში, სადაც ქუჩებშიაც იბრძოდენ. მტერმა კონტრ-იერიშს ველარ გაუძლო. მტერს დიდი ნივთიერი ზარალი მიაყენა სურსათის დაწვით. სოკალის წითელის ჯვრის ცნობით მტრის ზარალი მეტათ დიდია. ტყვიებ შორის, რომელთაც ისროდა მტერი, აღმოჩნდა ასაფეთქებელი ტყვია რომლის ნიმუშები ვლადიმირ-ვოლინსკში ინახება.

ჩვენს მოწინავე რაზმს ირგვლივ შემოერტყა ბევრათ უფრო ძლიერი ავსტრიელთა რაზმი. ბრძოლა დილიდან საღამომდი გაგრძელდა. მიუხედავათ ავსტრიელთა ძლიერი ცეცხლისა, ყველა იერიში მტრისა, როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი ჯარებისა, მოგერებულ იქნა. ჩვენი აფიცრებისა და ჯარისკაცთა სიმამაცე თვალსაჩინო იყო. დაკოდილნი და დაჭრილნი ჭრილობის შეხვევის უმალ ისევ რაზმში ბრუნდებოდენ და სცდილობდენ პირველ რიგში ჩადგომას.

მტერმა ბევრჯერ სცადა ქალაქში შეჭრა, მაგრამ დიდის ზარალით სამხრეთისაკენ დაიხია. ავსტრიელ ტყვეს სიტყვით მტრის დანაკლისი იმდენათ დიდია, რომ თითო „ვზვოდიდან“ გადარჩენილა მხოლოდ ორი. 29 ივლისს, ტროსტიანცის მიდამოებში ავსტრიელებთან ბრძოლის დროს, რამდენიმე ჩვენი ესკადრონი სწრაფათ ეკვეთა მტრის ქვეითა რაზმს, რომელიც აკეპილ იქნა. ბრძოლის ველზე დარჩა 60 მტრის გვამი.

**ლონდონი.** 7 აგვისტო. ამბავი მოვიდა ბრიუსელიდან, რომ გერმანელების ჯარები კვლავ დაეცენ დისტს; გუშინ საღამოს გაძარცვეს სადგური და ზარბაზნები დაუშინეს ქალაქს. მცხოვრებნი თავზარდაცემულნი გარბიან, არტილერია ზარბაზნებს ესროდა ტირლემონს. გუშინ გერმანელების მოწინავე რაზმა წინ წაიწია და ბელგიელების პოზიციის ახლოს გაჩერდა. უეცარი თავდასხმა, მოხდებოდა, რომ მფრინავს არ შეეტყო მტრისა და მისი ძალების მდგომარეობა და არ გაეფრთხილებია უმთავრესი იმ შტაბისა, რომელმაც თავის დროზე მიაშველა ცხენოსანი ჯარი. გერმანელებმა უკან დაიხიეს.

**პარიზი.** 6 აგვისტო. ელზაში დიდი ცვლილება არ მომხდარა თუმცა ფრანგები ზემო ელზაში წინ მიიწევენ. გერმანელებმა კვლავ დაიჭირეს დაბა ვილლე, ვოგეზის მთებში, სადაც იყო ფრანგთა მოწინავე რაზმი. ფრანგთა ჯარები გამოდიან მთებიდან სეილის მდინარით და იჭერენ შატოსალენ-დიეზს, მაგრამ წინ წაწევა ძალაუნებურათ ფერხდება, იმ ადგილებში, რომელნიც ძლიერ გამაგრებული არიან. აღსანიშნავია ცხენოსნების მტერთან შეტაკება, რომელიც გამარჯვებით დასრულდა.

**პეტერბურგი.** 7 აგვისტო. ავსტრიისა და გერმანიის ქვეშევრდომებს, რომელნიც ჯერ 17 წლისანი არ არიან და ან 45 წელს გადაცილებულან, გრადონაჩალნიკმა ნება დართო რუსეთიდან საზღვარგარეთ გავიდენ.

**პეკინი.** 7 აგვისტო. რადგანაც ჩინეთის მთავრობას ნაკლები საბაჟო შემოსავალი დაურჩა და ფული არ ყოფნის ბოქსერების აჯანყების ჩასაქრობათ, ამიტომ იგი სთხოვს სახელმწიფოებს ვალის გადახდა დააცალონ ომის გათავებამდი.

**ლონდონი.** 6 აგვისტო. მსოფლიო ვაჭრობისა და მრეწველობის ცენტრს, ლონდონს, ჩვეულებრივი ელფერი აღევს.

სიტში ძველებური მოძრაობაა. მოსულნი პარიზიდან, სადაც ორი მესამედი მაღაზიისა დაკეტილია და ვაჭრობა თითქმის სრულიად მოისპო, გაკვირვებულნი არიან იმ განსხვავებით, რომელიც ამ ორ სატახტო ქალაქს ატყვია.

პაპის გადაცვალების ამბავმა ძლიერ შეაწუხა აქაური კათოლიკენი. კათოლიკეთა ყველა ეკლესიებში გადახდილ იქნა წირვაც და პანაშვიდი პაპის სულის მოსახსენებლათ. ყველაზე ბევრი ხალხი დაესწრო ვესტმინსტერის საკათედრო ტაძარში. დარმშტადტიდან იუწყებიან, რომ დიდმა ჰერცოგმა ესსენისამ მოწოდებით აუწყა ხალხს, რომ მე ომში მივალ და სახელმწიფო საქმეების გამგებლობა დიდ ჰერცოგინიას გადავეციო.

**ბუხარა.** 7 აგვისტო. ბუხარის ემირმა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თედორეს ასულის სახელობის საწყობს 100,000 მ. შესწირა.

**რომი.** 7 აგვისტო. მესაჟერი იუწყება: რადგანაც სკუტარიდან უცხო სახელმწიფოებმა თავისი გარნიზონები გაიყვანეს, იტალიასაც აზრათ აქვს ასევე მოიქცეს.

**ილფუზ.** 7 აგვისტო. ტალაათ-ბეი და ხალილ-ბეი ბუქარესტს გაემგზავრენ.

**ტოკიო.** 7 აგვისტო. გაზეთებში დაიბეჭდა ოფიციალური ჩვენება „რიაზანის'' კაპიტანისა, რომელიც ამოწმებს, რომ ეს გემი შეიპყრო გერმანიის ნალმოსანმა ,,ედენმა'' იაპონიის ზღვაში მინავალმა კანდელიდან მილნახევარ მანძილძილზე. გერმანიის მთავრობა შეეცადა ეს ცნობა უარეყო,

**პარიზი.** 7 აგვისტო. რომიდან ,,ნიუიორკიდან გერალდს'' დეპეშით აუწყებენ, რომ ტალაათ-ბეის ცდა, რომ ოსმალეთის მეთაურობით შეადგინოს ახალი კავშირი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, სოფიაში თანაგრძნობას ვერ იპოვის, რადგანაც რუსეთისადმი თანაგრძნობა ჟოანდათან ფეხს იკიდებს.

**კოვნო.** 7 აგვისტო. აქ მოიყვანეს თვალსაჩინო ჯარ[illegible] ჩვენ ცხენოსან ჯარს [illegible] შეერეკა, სადაც მტრის ცხენები დაირჩენ.

**ლონდონი.** 7 აგვისტო. ბეჰვდითი სიტყვის ბიურო იუწყება, რომ ბელგიის საველე ჯარზე იერიში მიიტანა გერმანიის ბევრათ უფრო მრავალრიცხოვანმა ჯარმა და უკან დაახევინა. ბელგიის ჯარებმა თვალსაჩინოთ აღასრულეს თავიანთი მოვალეობა, ეწინაღმდეგებოდენ რა მტრის შემოსევას, რათა მოკავშირეთათვის საშვალება მიეცათ ხელშეუშლელათ შეერთებულიყვნენ. ბელგიელების უკან დახევა, რომელსაც ამ დღეებში მოელოდენ, გამოწვეულია სტრატეგიული მოსაზრებით. საზოგადოება მოუთმენლად მოელის ცნობებს უმთავრეს ბრძოლის შესახებ, რომელიც ბელგიაში უკვე დაიწყო, მაგრამ ჯერ სხვა ცნობები არ არის გარდა იმისა, რაც ოფიციალურათ გამოქვეყნებულია ფრანგებისაგა. ამ ცნობებით კი ბრძოლის ველზე მოკავშირეთა მდგომარეობა ჩინებულია, ბელგიის ჯარების ანტვერპენისაკენ დახევა, ბელგიის ოფიციალური ცნობით, გამოწვეულია მოკავშირეთა საერთო გეგმის შესრულების საჭიროებით.

**პარიზი.** 7 აგვისტო. მოსალოდნელ დიდი ბრძოლის შესახებ კლემანსო ,,ომლიბრში'' სწერს: ,,ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც მტერი ჩვენი მიწა—წყლის რამდენიმე ადგილას გაჩნდეს. ჩვენი მეორე წყებისაგერი ჯარი მზათ არის დაუყონებლივ გასდევნოს მტერი. ჩვენის გენერლების აზრით დასაჯერებელი არ არის, რომ ჩვენი ჯარი დამარცხდეს, მაგრამ თუნდაც ასეც რომ მოხდეს, ეს საფრანგეთისათვის იქნებოდა ადვილათ გასასწორებელი მარცხი; ხოლო განდევნა გერმანიის ჯარისა ჩვენის სამზღვრებიდან, როგორც ბევრი ფიქრობს, იქნება ისეთი ძლიერი მოვლენა, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს სულით დაცემა გერმანიის ჯარისა და ერისა,

**მოსკოვი.** 6 აგვისტო. სრულიად რუსეთის საერობო კავშირის თავჯდომარეთ-დ ლვოვს ბედნიერება ჰქონდა წარდგომოდა ხელმწიფე იმპერატორს მოხსენებით კავშირის მოქმედების შესახებ.

**რაკი.** საბერძნეთმა გაიგო, რომ ოსმალები კუნძულებზე თავის გავლენის დამყარებას ცდილობენ, მოლაპარაკებაზე უარი განაცხადა. არის ისეთი ნიშნები, რომ ტალაათ-ბეი ბუხარესტშიაც ნაკლებ თანაგრძნობას მოიპოვებს.

**პარიზი.** 7 აგვისტო. მედგარ და ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა კვლავ დაიჭირეს მიულჰაუზენი.

**ცეტინიო:** 5 აგვისტო. გრახოვთან ავსტრიის ძლიერმა ჯარმა ჩერნოგორიელების ფრონტზე სასტიკი იერიში მიიტანა. ბრძოლამ მთელს დღეს გასტანა. მტერი მთელ ფრონტზე მოგერებულ იქნა, უკან დაიხია და ბრძოლის ველზე დიდძალი დაჭრილი და მკვდარი დასტოვა. ჩერნოგორიელების დანაკლისი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 7 აგვისტო. ვერსალში მოვიდა მატარებელი, რომელმაც მოიტანა ზარბაზნები, ტყვიის მფრქვეველები და სხვა საომარი იარაღები; ეს იარაღები წაართვეს გერმანიის ჯარს.

**პარიზი.** 7 აგვისტო. მიულგაუზენის აღების დროს ფრანგებმა წაართვეს გერმანელებს 6 სარბაზანი და ხუთი ყუთი ზარბაზნის ტყვია-წამლისა ვოგეზის უღელტეხილზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ფრანგებმა დაიკავეს გებვილერი.

**პეტერბურგი.** უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბი იუწყება, რომ 4 აგვისტოს ბილდერ-ვეიტჩენისა და სტამუპენონსათან პრუსიის აღმოსავლეთ ფრონტზე მომხდარ თვალსაჩინო ბრძოლის დროს, ჩვენმა ჯარებმა წაართვეს გერმანელებს 7 ზარბაზანი, 12 ყუთი ზარბაზნის ტყვია-წამლის, 2 ტყვიის მტყორცნელი და მრავალი დაატყვევეს. გერმანელთა მხრივ ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა პირველი ქვეითა დივიზია და 12 ბატარეია. აღებულ იქმნენ მელხენენი და კოვოლენი. ჩვენ დავიჭირეთ სტამუპელენი და ლიპ. 6 აგვისტოს აღმოჩნდა, რომ მტერმა უკან დაიხია.

**კოპენჰაგენი.** 7 აგვისტოს გერმანიის პრესა უხეში სიტყვებით იხსენიებს ფრანგებისა და ინგლისელებისაგან გამოქვეყნებულ სამხედრო ანგარიშებს. ნეიტ

...რი პრესა მეტის ნდობით ეპყ... ინგლისისა და საფრანგეთის ცნობებს, ...ე გერმანიისას. ოფიციოზური გაზეთი ...ორიულათ, მაგრამ დინჯის კილოთ ...ს ყოფს გერმანიის ბრალდებას და ამტ... ...ებს, რომ ადგილობრივი პრესა მიუდგომ... ...თ ბეჭდავს იმ ცნობებს, რომელსაც აწვ... ...ან რეიტერისა, ჰავასისა, ვოლფისა და ...ერბურგის სატელეგრაფო სააგენტოე... ...ი, და არც ერთ მხარეს უპირატესობას ...ა აძლევსო.

# მოწოდება.

**...ომში დაშავებულთა დამხმარე კავკასიის კომიტეტისა.**

კავკასიის მკვიდრნო!

...თვალუწვდენელ რუსეთის ყველა კუთ...დან არაჩვეულებრივი სულიერი აღ...ფრთოვანება მოჰბერს. ერთი ზრახვით, ...თის მისწრაფებით შედუღებული ხელ...წიფის მოწოდებაზე მრისხანედ წამოდ...ნენ მთელი რუსეთის ერნი სამშობლოს ...ა მის სახელის დასაცავად მახვილ-აწვ...ილ მტრისაგან, ჩვენი მამანი, ქმრები, ...ები და შვილები, მშვენება ჩვენი სამ...შობლოისა, საუკეთესო და ძლიერი ნა...ილი იარაღით გავიდა ბრძოლის ველზე ...ტრის მოსაგერებლად და დასამარცხებ...ლად. ჩვენ კი, სახლში დარჩენილი მშვი...დი მოქალაქენი, სიყვარულითა და თა...ნაგრძნობით გაერთიანებულნი, ვალდე...ბულნი ვართ, ფეხზე დავდგეთ, როგორც ...ერთი კაცი, და შევამსუბუქოთ ომის სა...ჭირნელება; ჩვენი ვალია ვიზრუნოთ და...ჭრილ და ავადმყოფ მეომარებზე, ბრძო...ლის ველზე გასულთა სახლში დარჩენილს ...ოჯახზე. საჭიროება განუსაზღვრელი და ...მრავალნაირია და აურაცხელ ხარჯსა და ...კერძო შეწირულებას ითხოვს. თანამედ...როვე პირობების მიხედვით, დაჭრილ...თა რაოდენობა აუარებელი იქნება, ...მთავრობისა და წითელი ჯვრის სახსარი ...ვერ გასწვდება ველა დაჭრილთ.

ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გასა...ყვანად საჭიროა საომარ ასპარეზიდან ...მოშორებით გაიმართოს კარგად მოწყო...ბილი ჰოსპიტლები და ლაზარეთები. გა...მობრუნებულ დიჭრილთა მოსარჩენად ...საჭიროა სანატორიუმები, რომელთა მო...წყობაც კავკასიის შესაფერ ადგილებში ...აუცილებელია. თუმც მთავრობამ იკისრა ...ომში გაწვეულთა ოჯახებისათვის სანოვა...გის ძლევა, მაგრამ დაწესებული ულუფა ...მხოლოდ გამოკვების საშუალებას იძლე...ვა. საჭიროა დამატებითი დახმარება ამ ...ოჯახთა საჭიროებისათვის, მათი სამოსე...ლისა და საჭირო დროს ბინისათვის. ...ბოლო ბავშვებისათვის საჭიროა თავშესა...ფარები, რომ დედებს შეძლება მიეცეთ ...მუშაობისა - უნდა მოეწყოს დღიური თავ...შესაფარები, რომ დედებს შეძლება მიე...ცეთ მუშაობისა —უნდა მოეწყოს დღიუ...რი თავშესაფარები და სასადილოები, სა...ჭიროა ბავშვების სწავლის ფულის გადა...ხდა, მათი ჩაცმა-დახურვა და სხვა. სოფ...ლად, სადაც მუშა ხელის ნაკლებულე...ბაა, საჭიროა მოსავლის დასაბინავებლად ...ორგანიზაციის მოწყობა, გალეწვა და ...სხვა. სოფლად და ქალაქებში საჭიროა ...მოეწყოს სანოვაგისა, შეშისა, განათების ...მასალისა და სხვათა შეზიდვის საქმე.

ყველა ამ საჭიროებათა მოსაგვარებ...ლად, რაც დაკავშირებულია კავკასიის ...კუთხეებში ომის საქმესთან, უკვე და...იწყო თაოსნობა ქალაქების თვითმმართვე...ლობათა და სხვა საზოგადო თუ კერძო ...ორგანიზაციებსა და კომიტეტებისა.

ყველა ამ სამმართველოთა, საზოგადო ...და კერძო ორგანიზაციათა გასაერთიანებ...ლად და გასაადვილებლად, მ. ი. უ. კავ...კასიის მეფის მოადგილის განკარგულე...ბით დაარსდა კავკასიის კომიტეტი ომში ...დაშავებულთა დასახმარებლად.

კომიტეტმა მიზნად დაისახა, კი არ შე...ავიწროვოს საზოგადო და კერძო თაოს...ნობა ყველა ამ ორგანიზაციებისა, არა...მედ ყოველნაირად ხელი შეუწყოს ფუ...ლით დახმარებას იმ თანხებიდან, რო...მელსაც მიიღებს კომიტეტი შემოწირუ...ლებათა სახით. სამუშაო ნივთების მოწო...დებით, სამკურნალო და საკვებ ნივთე...ბით.

ამ მიზნისათვის კომიტეტი თავისი ...ადგილობრივის წევრების საშუალებით აწ...ყობს გაუწევს საზოგადო და კერძო პირ...თა ორგანიზაციების მოღვაწეობას ვისაც ...კი უკისრია წვლილის გამოღება, ცნობე...ბის შეკრება, თუ რომელი ორგანიზაცია

რა დახმარებას ეწევა. ამასთანავე ყველამ ამ ორგანიზაციათა და კერძო პირების თხოვნით კომიტეტი ყველა უწყებათა წინაშე შუამდგომლობას აღძრავს ომში დაშავებულთა დახმარების თაობაზე და ამ საქმის აჩქარებას შეეცდება.

უკეთუ რომელიმე ადგილას ასეთი საჭიროება არ იქნება, მაშინ კომიტეტი შეეცდება შესაფერ ადგილებში მოაწყოს კომიტეტები და დახმარების საქმე.

დასახულ მიზნის მისაღწევად ომში დაშავებულთა დამხმარე კავკასიის კომიტეტი, თავისი საპატიო თავჯდომარის მ. ი. უ. კავკასიის მეფის მოადგილის გრაფ. ი. ი. ვორონცოვ დაშკოვის სახელით, მიმართავს კავკასიის მკვიდრთ, შეძლებისადაგვარი შეწირულობით შეამსუბუქონ დიადი საქმე ომში დაშავებულთა დახმარებისა.

კომიტეტი დარწმუნებულია, რომ კავკასია, განსაკუთრებით კი მისი შეძლებული კლასები, სრულის ხალისით გამოეხმაურებიან ამ დიდებულ მოწოდებას და უხვი შეწირულებანი სიამოვნებით აუძგერებს გულს კავკასიიდან ბრძოლის ველზე გასულ მეომართ, რომელთაც ექნებათ რწმენა, რომ ჭრილობის მიღებისა თუ ავადმყოფობის დროს, სამშობლო ქვეყანა ამზადებს მათი მოვლის საქმეს და და თავშესაფარს მათის ოჯახის უზრუნველსაყოფად და მოსიყვარულე მზრუნველობას გაუწევს.

**კომიტეტის შემადგენლობა:**

საპატიო თავჯდომარეე მ. ი. უ. კავკასიის მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, თავმჯდომარე ქალი სტატს-დამა გრაფის მეუღლე ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისა, ვიცე-თავმჯდ. არქიეპისკოპოსი პიტირიმი, ექსარხოსი საქართველოსი. **წევრები**: ინფან. გენერალი ა. ხ. მიშლაევსკი, ეპისკოპოსი მესროპი, გოფმეისტერი ნ. ლ. პეტერსონი, ა. ნ. მიშლაევსკისა, ა. პ. პეტერსონისგენ. ლეიტ. ნ. ნ. იუდენიჩი, ეგერმ. ნ. ფ. ჯუნკოვსკი, თ. გუბერნატორი დ. სტ. სოვ. ი. მ. სტრახოვსკი, თფ. გუბ. თავ.-აზნ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი დ. სოვ. ფეხტნერი, ამიერ კავკასიის მუფთი და ამიერ კავკასიის შეიხ-ულ-ისლამი. კომიტეტის საქმის გამგე სტ. სოვ. ალექსანდრე ალექსის ძე პავლოვი (სახელმწიფო ბანკის განყოფილება, გოლოვინის პროსპ. სახ. 19, ტელეფ. 6—53), კომიტეტის ხაზინადარი თფილ. კომერც. ბანკის დირექ.-გაბრიელ მოსეს ძე ცურინოვი (თფ. კომერც. ბანკი. შტაბის ქ. № 4, ტელ. 1—92 და 6—48) კომიტეტის საწყობის გამგე მეფის მოადგილის სასახლეში პოლკოვნიკი ივანე პავლეს ძე ბარანოვი.

ფულით შეწირულებანი, გთხოვენ, გაგზავნოთ ხოლმე საპატიო თავჯდომარისა საპატიო თავჯდომარე ქალისა, კომიტეტის წევრებისა, კომიტეტის საქმეთა გამგისა და ხაზინადრის სახელობაზე. ნივთების შეწირვა უნდა გაიგზავნოს მეფის მოადგილის სასახლის საწყობში, ხოლო უფრო საჭიროა შემოსწირონ: უხმარი საცვლები კაცისათვის, საბნები, ფუფაიკები, ყაბალახები, ტილო, მსხვილი ტილო, ჩითეული, ცხვირსახოცი, ნაბდის წუღები, წინდები. სანოვაგე: ჩაი, შაქარი, მაგარი ღვინო (კონიაკი), წითელი ღვინო, კონსერვები, გალეტები სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსები, ჰიგროსკოპიული ბამბა, მარლი, ტერმომეტრები და სამკურნალო ხელსაწყო.

კომიტეტთან ყოველგვარი მიწერ-მოწერა სწარმოებს კომიტეტის საქმეთა გამგე ამიერ კავკასიის სახ. სათ. აზ. ბანკის განყოფ. გამგე სტ. სოვ. ალექსანდრე ალექსის ძე პავლოვის სახელობაზე—გოლოვინის პროსპექტზე, 19. ვთხოვთ ყოველგვარი მიწერ-მოწერა ამ მისამართით აწარმოვოთ.

# ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს სამართველო ქალაქის გამგეობას, სთხოვს დაუბრუნოს მას ქუთაისის ვაჭრების ის თხოვნები, რომლითაც შუამდგომლობენ ნორმალური დასვენების სავალდებულო დადგენილების რამდენიმე მუხლის შეცვლას.

✦ ელექტრო-თეატრი „ვიუს" გამგეობას დაუდგენია ყოველდღიური შემოსავლიდან 10 პროც. გადასდვას ქუთაისიდან ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ ომის გათავებამდე.

✦ 27 ივლისს სოფ. ხეოაში (ზუგდიდის მაზრა) მოხდა პატრიოტული მანიფესტაცია. ადგილობრივ მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი, რათა რუსის მხედრობას მიენიჭოს გამარჯვება. პარაკლისის შემდეგ მანიფესტაციები გაემართენ სოფლის სამართველოსაკენ, სადაც ხელ მეორეთ გადაიხადეს პარაკლისი. აქვე წარმოითქვა სიტყვები. შეადგინეს დეპეშა, რომელიც გაუგზავნეს მეფის მოადგილეს კავკასიაში.

✦ გუშინ, 8 აგვისტოს, ქუთაისში შავიქვის საბჭოს დარბაზში დაიწყო ამავე საბჭოს სხდომა სხვადასხვა საკითხების გამოსარკვევათ. სხდომა რამდენიმე დღეს გასტანს.

✦ 8 აგვისტოს ქუთაისში კიდევ დიდი წვიმა მოვიდა.

✦ 6 აგვისტოს სოფ. გოდოგანში წირვის შემდეგ ღვდელმა პარმენ ჭირაქაძემ პარაკლისი გადაიხადა, რათა რუსის მხედრობას გამარჯვება მიენიჭოს. პარაკლისის შემდეგ მამა პარმენმა ვრცელი სიტყვით მიმართა ხალხს.

✦ დღეს, 9 აგვისტოს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო შენობაში საოჯახო საღამო, ლოტო და ცეკვა გაიმართება.

✦ ამ ჟამად ქალაქის საავადმყოფოში სულ 30 ავად-მყოფი წევს.

✦ გუშინ, 8 აგვისტოს, ქუთაისის ბაზარზე სიმინდის ფქვილი ფუთი შვიდ აბაზათ ფასობდა; კართოფილი--სამ აბაზათ! ხახვი 11 შაურათ.

✦ კვირას, 10 აგვისტოს, ს. ამაღლებაში სტუდენტი ყაზანის საიმპერატორო აკადემიისა მელქისედეკ პ. ხელიძე წაიკითხავს საყურადღებო საჯარო ლექციას „სოციალიზმი და ქრისტიანობა", რომელიც მას უნდა წაეკითხა აქ 20 მკათათვეს, ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ვანის განყოფილების სასარგებლოდ.

✦ ეს ერთი კვირაა ქუთაისში სატახტო გაზეთები არ მოდის, რაც რედაქციას ხელს უშლის თავის მკითხველებს ფართო ცნობები მიაწოდოს.

✦ 7 აგვისტოს ქალაქის სანიტარებმა ვ. ბეჟანიშვილმა და ი. ჩახნიძემ გელათის ქუჩაზე ოქმი შეუდგინეს შემდეგ ებრაელებს: სიმონ და გაბრიელ ელუაშვილებს, გაბო შამელაშვილს, რუთინა ციციაშვილს, იუდა მენსიგესელს, სიმხო ელუშვილს და ისხაკა ელუაშვილს. სანიტარულ წესების დარღვევისათვის.

# თფილისი.

დახმარება მეომართა ოჯახობებს. ქალაქის გამგეობასთან დაარსებულ ბიუროს გუშინ 1000-დე ოჯახმა სთხოვა ნივთიერი დახმარება.

— ქალაქის სამხედრო საკრებულომ გუშინ სამინისტროსაგან მიიღო საგანგებო მოწერილობა, რომლითაც ოჯახურმდგომარეობის შეღავათი მიეცემათ წელს ჯარში გაწვეულ იმ ახალგაზრდათ, რომელთა ძმებიც სათადარიგო, ან სალაშქრო ჯარში იყვნენ ჩარიცხულნი და ახლა ომში იქმენენ გაწვეულნი.

— სამხედრო საჭიროებისათვის ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს 500,000 მან. გადაუდვია.

— მეომართა ოჯახების დამხმარე კავკასიის კომიტეტმა უკვე დაიწყო მოქმედება.

— ახალმა გუბერნატორმა კლუბების მამასახლისებს წინადადება მისცა, მოსპონ ლოტო და კლუბებში შესვლის ნება მისცენ ყველა პოლიციელს. ამის გამო კლუბის მამასახლისებს 8 აგვისტოს რუსულ კლუბში კრება ჰქონდათ. კრებამ აღიარა, რომ გუბერნატორის განკარგულება არ შეეფერება სენატის განმარტებებს.

ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულს ივანე დურმიშხანის ძე ქარცივაძეს მეფის მოადგილემ ნება დართო დონის როსტოვიდან სამშობლოში დაბრუნდეს.

— „სახალხო გაზეთის" რედაქტორი ნ. ს. კურდღელაშვილი, როგორც ვწერდით, ოთხი საქმის გამო ცალ-ცალკეა სამართალში მიცემული. რედაქტორს სათავდებო ფულათ დღემდე შეტანილი ქონდა 500 მან. გუშინ სამოსამართლო პალატის დადგენილების თანახმად კიდევ წარადგინეს 500 მან.

— თფილისში სოფლებიდან ამ ჟამად ცოტა შემოაქვთ სურსათი; თივა: ქერი, შვრია და სხვა. როგორც გამოირკვა, ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ სოფელსოფელ ჩარჩ-ვაჭრები დაიარებიან და გლეხებისაგან სურსათს ყიდულობენ. გუბერნატორმა ამის გამო განზრახ უფროსებს სასტიკათ დაავალა, რომ მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი ჩარჩ-ვაჭრების წინააღმდეგ.

— „კაპეიკის კავშირის" საზოგადოების გამგეობის კრება დღეისთვის არის დანიშნული. გამგეობა სხვათა შორის, განიხილავს ნივთიერ ღონისძიებათა გამოძებნის საკითხს ჯარში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლათ.

— სათადარიგო და სალაშქრო ჯარის კაცთა ოჯახობების დახმარების საქმის მოსაწყობად 6 აგვისტოს ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავჯდომარეობით საგანგებო კრება მოხდა თვითმართველობისა, თავად-აზნაურობისა, საფინანსო, საქველმოქმედო და საკომერციო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა. კრებას დაესწრო 200 კაცი. კრებამ დაადგინა, დააარსოს მეომართა ოჯახობების დამხმარე თფილისის კომიტეტი, რომელშიაც წევრებად შევლენ ყველა საზოგადო და საქველმოქმედო საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი, რომელთა რიცხვი 60—70 იქნება.

— ქალაქის სამეურნეო კომისიამ, როგორც ვწერდით, მამადავითის რაიონში პურის საცხობები დაათვალიერა და ბევრგან სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა აღმოაჩინა. ამის გამო კომისიამ ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, მიიღოს ღონისძიებანი, რათა ქალაქის ყველა უბანში ასრულებდენ მეპურენი სავალდებულო დადგენილებას.

## ბ. ვუკოლ ბერიძის შეკითხვის გამო.

(„იმერეთი" № 123).

ბ-ნი ვუკოლ ბერიძე მიწვევს დავამოწმო, რაც ვიცი იმ ინცინდენტის გამო, რომელიც მას 1 აგვისტოს „შრომის" რედაქციაში შეემთხვა. მე ეს ვიცი, რომ „შრომის" რედაქციის განცხადება, თითქო ბ. ბერიძე **რედაქციაში უშნოჯავსოლანძღვა-გინებით შეურაცხყოფილიყოს**, მართალი არ არის. ბ-ნი ბერიძის მხრით არაფერი უწესო არ თქმულა ჩემი იქ ყოფნის დროს, მან მხოლოდ საყვედური გაახცადა მშვიდობიანი კილოთი შესახებ იმისა, რომ გაზეთს იმ დღეს საღამოის დეპეშებში დილის ცნობები მოეთავსებია; კანტორის გამგემ ამაზე უკმეხათ უპასუხა, რომ ჩვენ დეპეშები გვიან მივიღეთ—და, როცა მივიღეთ, მაშინ დავბეჭდეთო.—

პირადათ მეც გავაცხადე რედაქციაში საყვედური უფრო საყურადღებო საგნის შესახებ, სახელდობ შესახებ იმისა, რომ დეპეშების გამყიდველნი ქალაქში დარბიან და წარამარა გაკივიან: **უტრინი ტელეგრამ, ვეჩერნი ტელეგრამ, ინტერესნი ტელეგრამ-ო** და სხვ.; რუსულისა, და ისიც ამისთანა რუსულის მაგიერ —სამართლიანობა მოითხოვს, ქართველ საზოგადოებაში ქართულათ დაიძახონ-მეთქი. ამ შეკითხვასაც უარყოფითად შეხვდა გაზ. „შრომის" წარმომადგენელი და აგდებული კილოთი მიპასუხა. მეორე დღეს წერილითაც ვსთხოვე რედაქციას ამავე საგნის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი სამართლიანისა და ზრდილობიანი თხოვნისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ—და, განსაკუთრებით „შრომის" დეპეშების გამყიდველნი, დღესაც ძველებურათ გაკივიან: „**უტრინი ტელეგრამ**", „**ნაინტერესნი ტელეგრამ**"-ო!..

ორ წამს შემდეგ რედაქციიდან მე უკანვე გამოვბრუნდი— და შემდეგ რა მოხდა რედაქციაში, მე არ ვიცი.

**სილოვ. ხუნდაძე.**

# ლეგენდა.

(გელათის ტაძრის აშენების შესახებ).

დავით აღმაშენებელი რომ ტახტზე ავიდა, გელათისა, მცხეთისა და მარტვილის აშენება განიზრახა.

მოიწვია ხუროთ-მოძღვრები და პირველად გელათის ტაძრის აშენება მიანდო. ხუროთ მოძღვრებმა შეადგინეს გეგმა, დათალეს ქვები და საძირკველიც ჩადგეს. მაგრამ, მეორე დღეს, ... როთ საძირკველი დანგრეული დახვდათ. ოსტატები ხელმეორედ შეუდგნენ მის კეთებას, მაგრამ ისევ ვიღაცამ დაანგრია. ბოლოს ეს ამბავი მეფეს აცნობეს, მეფემ ბძანება გასცა, საძირკველთან დარაჯები დაეყენებიათ, ამ ცდამაც უნაყოფოთ ჩაიარა. მეფემ დაიბარა ვეზირები და უხუცესნი სათათბიროთ. ეს უხუცესი წამოდგა და მოახსენა: ვინც ამ საძირკველს ანგრევს, ის უთუოდ მავნე იქნება და მისი დაჭერა ამნაირად შეიძლება: უნდა გაავსოთ ორი გობი,—ერთი თაფლით, მეორე არაყით და დადგათ საძირკველზე. როდესაც ის მავნე მოვა, სუნით მოსძებნის თაფლს და დაუწყებს ჭამას, თაფლი ძლიერ მოაწყურებს და იქვე არაყს დაეწაფება, რის შემდეგ ის დათვრება და შორს ვეღარ წავაო.

მეორე დღეს, გობების დათვალიერების დროს, თავს წააწყდენ ვეებერთელა, შავი ბალნით შემოსილ ცხოველს.

მეფემ სასწრაფოთ მოატანია ჯვარი და ჯაჭვი. ჯაჭვი დაძინებულ ცხოველს მოაბა, ხოლო ჯვარი გადასახა. მხეცი რაშათ გარდიქცა და დათვინიერდა. ამის შემდეგ მეფე სულ ამ რაშით დადიოდა. ისეთი მალი და სწრაფი გამოდგა ეს რაში, რომ მეფე დილას რო მცხეთის საძირკვლებზე ერთ დიდ ქვას დასდებდა და ისაუზმებდა, შუადღისას გელათს მოვიდოდა, ერთ ქვას აქაც დაადებდა და ისადილებდა, საღამოს ჟამს კი მარტვილისაკენ გაემართებოდა და იქიდან ისევ მცხეთას უბრუნდებოდა. ერთხელ, ამ ტაძრების აშენება რომ დასრულდა, მეჯინიბეს დაავალა რაშისათვის წყალი დაელევინებია. მეჯინიბემ რაში რომ წყალთან მიიყვანა, ალვირი ახსნა. რაში შევიდა წყალში და მსწრაფლ გაქრა. წყალწითელის ერთ-ერთ ადგილს, გელათის მახლობლად, დღესაც „ეშმაკის ფეხს" უწოდებენ. ამ ადგილის სახელის განმარტება, ჩემის აზრით, შეიძლება ამ ლეგენდის დახმარებით.

**კ. ჭ.**

## პასუხად ბ. მიწის-შვილს.

გაზ. „შრომის" მე-22 №-ში მოთავსებულია წერილი „უსაფუძვლო ბრალდება" ბ. მიწის შვილისა ჩემი წერილების წინააღმდეგ მიმართული.

ჩემი კი არა და ეს წერილი კი მართლაც უსაფუძვლო და თავით ბოლომდი მტკნარი სიცრუეა.

ბ. მიწის შვილი თუ თვალყურს ადევნებდა ჩემ წერილებში მოთავსებულ ცნობებს, ნათლად დაინახავდა, რომ მე ისეთი ბრალდება სრულიადაც არ წამომიყენებია ხონის კურსებზე მყოფ მასწავლებლებისათვის, რომელიც მათ არ დაუმსახურებიათ. პირიქით, მე ვცდილობდი კურსისტ-მასწავლებლებში დამენახა რაც შეიძლება მეტი დადებითი მხარეები, რომელიც უკვე აღვნიშნე ჩემს მეორე წერილში და რომლის გამეორებას ეხლა საჭიროდ აღარ ვთვლი. ხონის კურსების შესახებ წერილის გაგრძელება საჭიროდ აღარ მიმაჩნია, რადგანაც ამაზე საკმაოდ დაიწერა აქა-იქ გაზეთებში და, რომ მკითხველებს თავი არ მოვაბეზროთ, ვიტყვი მხოლოდ ორიოდე სიტყვას თქვენი წერილისა გამო.

სწორედ თქვენა მსდებთ მე ბრალს, მწამებთ სასტიკ, ცილს ბ. მიწის შვილო, როცა მეუბნებით: „ზოგიერთი მასწავლებელი მუნჯური მეთოდით აძლევდა გაკვეთილს, სხვანი ამის შესახებ ხმას არ იღებდენ და, მაშასადამე, ისინიც მუნჯური მეთოდით აწარმოებენ თავიანთ შკოლებში სწავლას და სულიერად ასახიჩრებენ ნორჩ თაობას". თუ თქვენ წაიკითხეთ ჩემი წერილები და მისი შინაარსი გაიგეთ, ნათლად დაინახავდით, რომ არც პირველში და არც მეორეში მე არ გამიტარებია ის აზრი, რომ კურსისტ-მასწავლებლები თავიანთ შკოლებში მუნჯური მეთოდით აწარმოებენ სწავლასო. საიდან გამოიგონეთ ასეთი საოცარი ცილის წამება?.. მაგრამ უთუოდ არ წაგიკითხავთ, და ან თუ წაიკითხეთ, ისე--ზერელეთ, რომ ვერაფერი გაგიგიათ. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ ხელ-მეორედ გულდასმით გადაათვალიეროთ და დაინახავთ იმას რასაც, მე გიმტკიცებთ. ხოლო რაც შეეხება, იმას რომ ზოგიერთმა მასწავლებელმა (როგორც მაგ. ბალიაძემ) სრულიად მუნჯური მეთოდით გადასცა გაკვეთილი ეს კი მართალია. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ არ შეგინიშნავთ ამის შემდეგ ერთი წინა-

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დადება, რომლითაც ვამბობდი, დაბოლოს ასეთ გაკვეთილებს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდენ მეთქი, რასაც ერთის მხრით ჩემი წერილის ზედგავლენითაც ვხსნიდი.

როგორც წერილიდან სჩანს, თქვენ კურსისტი ყოფილხართ, და უფრო მეტათ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ხშირად არ დასწრებიხართ თქვენს კურსებს, რასაც მართლაც ჩადიოდა დიდი უმრავლესობა მასწავლებლებისა, თორემ ერთხელ მაინც როგორ ვერ შენიშნავდით, რომ თქვენი კოლეგები თითქმის ყოველ გაკვეთილის გარჩევაზე იძლეოდენ სრულიად უსაფუძვლო შენიშვნებს სიტყვების თარგმნის შესახებ. ამ და ამ პრაქტიკანტ-მასწავლებელმა ბევრი სიტყვები თარგმნა ქართულად, რაც გაკვეთილის ნაკლად უნდა ჩაითვალოსო და სხვ. რაც შეეხება სიტყვას **Бѣда**, მე ვამბობდი და ვიმეორებ, რომ ასეთ განყენებულ ცნებას, რომლის კონკრეტულად და თვალსაჩინოთ ახსნა შეუძლებელია, ჩვენს პირველ-დაწყებით შკოლაში თარგმნა უნდა მეთქი. ასე რომ თქვენ რამდენიც არ უნდა ამტკიცოთ წინააღმდეგი, მაინც ვერ დაგეთანხმებით.

თუ თქვენ განგებ არ გინდოდათ დამახინჯება ჩემ მიერ გამოთქმულ აზრისა, აი რას ვამბობდი: „როდესაც ერთმა მასწავლებელმა შენიშნა ამ სიტყვის თარგმნის საჭიროება, კრებამ ეს უარჰყო და სამაგიეროთ რუსულად ახსნა-განმარტება მოითხოვა“ მეთქი. თქვენ კი დამახინჯებულად გამოსთქვამთ იმავე წინადადებას: ,,ინსპექტორს მისი (მასწავლებლის) სიტყვა არ მოეწონა და სიტყვა გააწყვეტინაო‘‘. ნუ თუ ეს ორი წინადადება ერთი და იგივეა, და ნუ თუ ნათლად არ სჩანს რომ ჩემი აზრი დაგიმახინჯებიათ? შემდეგ მე ვამბობდი; ,,იმავე მასწავლებელს კურსების ხელმძღვანელმა ჯერ დიდხანს სიტყვის ნება არ მისცა, ბოლოს აალაპარაკა და, რადგანაც არ მოეწონა, აღარ დაათავებინა და შეაწყვეტინა‘‘. დიახ, ეს უტყუარი ფაქტია და თუ თქვენ ვერ შენიშნეთ, სწორედ არ მოგეტოვებათ, რადგანაც კურსისტი ბრძანებულხართ და ვალდებული იყავით შეუმჩნეველი და გაუგებარი არაფერი დაგრჩენოდათ, თუმცა სამწუხაროდ უმრავლესობას ვატყობდი, რომ ეგეთი რამეები ნაკლებათ აინტერესებდათ. თუ გნებავთ, იმასაც გეტყვით, როგორ დაიწყო იმ მასწავლებელმა რომელსაც არ დაამთავრებინეს სიტყვა: *„Унасъ идетъ напрасная трата времени; неужели мои товарищи до того унизились, что обращаютъ вниманіе на пустяки, какъ-то: на посадку учениковъ и проч., и не замѣчаютъ самого существеннаго, именно“...* აი. აქ შეაწყვეტინა ინსპექტორმა სიტყვა. სწორედ აქ გდებდით ბრალს კურსისტებს, რომ ასეთი საინტერესოთ დაწყებული სიტყვის დასრულება არ მოსთხოვეთ ბ-ნ ინსპექტორს.

რაც შეეხება ბ. ალექსი ჭიჭინაძის რჩევა-დარიგებას, ამაზე მომახსენებთ, რომ მე ამ პატივცემულ პირს საკმაოდ ვიცნობ, არა ერთხელ გამიგონია მისი სიტყვები და აზრიც სწორედ გამიგია, ასე რომ თქვენი მტკიცებაც ამ მხრით, თითქოს მე მისი რჩევა არ გამიგონია, თუ კარგად ვერ გამიგია, სრულიად უსაფუძლოა.

კიდევ ბევრი რამ შეიძლებოდა მეთქვა თქვენი წერილის წინააღმდეგ, მაგრამ წერილის გაჭიანურება არა მსურს და ამით ვათავებ.

**მასწავლებელი ქალი.**

## დაბა-სოფელი.

**დ. ნოღალევი.** აქაურმა ვაჭრებმა ისარგებლეს დროით და ყველაფერს მასისხლად ყიდიან. პურის ფქვილი ისევ მომეტებულ ფასებში იყიდება, ნავთი იყიდებოდა 4—5 კაპ., ეხლა იყიდება 10 კაპ., გირვანქა შაქარი—20 კ., ფუთი სიმინდი -შვიდ აბაზად, ასე რომ ისედაც გაძვალ-ტყავებული გლეხი, საშინელ მდგომარეობას განიცდის.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ასეთ სიძვირეს როგორც მთარობის ისე ადგილობრივ ინტელიგენციის მხრივ.

დამტკიცდა უკვე, რომ ერთი ვაჭართაგანი გირვანქა ნავთს 20 კაპ. ყიდიდა.

კვირაში ერთხელ-პარასკეობით იმართება ბაზრობა, ამ დღეს გამოაქვთ გასაყიდი სიმიდიც. თითოეულის მოვალეობაა ამ დღეს მაინც მხარში ამოუდგეს გლეხს და ჩარჩების „ჩარჩოებიდან“ განათავისუფლოს. ბევრმა სულაც არ იცის სანოვაგეზე ფასების აწევის შესახებ არსებობს რაიმე განკარგულება, თუ არა! 3000 მან. ჯარიმა და, 3 თვე ციხე-- კანონიერ უფლებას გვაძლევს ჩავერიოთ ასეთ უსამართლობაში და მოვითხოვოთ ის, რაც ყველასათვის სავალდებულოა.

ხალხური ანდაზა: „უბედურს ქვა ალმართში მოეწიაო“—სწორედ დღევანდელ მდგომარეობაზეა ზედ გამოჭრილი: „უბედურ“ გლეხს შიმშილობა ეყოფოდა და, საუბედუროდ, ამას კიდევ ზედ დაერთო უმოწყალო სიძვიძე!

**როლანდ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით
ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,
**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**
სასწავლებელს
ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.
ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.
ნინო მათეს ასული
ხოშოლავასი.

დაიწყო ხელის მოწერა
ჯაჯუ ჯორჯიკიას
თხზულების პირველ ტომზე. წიგნში იქნება სამასი გვერდი და დაერთობა კიტა აბაშიძისა და მ. წულუკიძის კრიტიკული წერილები.
წიგნი ეღირება ხელის მოწერით 50 კ. ხელის მოწერა პირველ აგვისტომდი გაგძელება წიგნი ხელის მომწერთ ეკენისთვეში დაურიგდებათ. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება დაფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით ქუთაისი, ბაღის ქუჩა (Садовая ул.) სერ. გერსამიას.

ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** მთავრიშვილის, ოცხელის და გოგიბერიძის წიგნის მაღაზიებში, ჟურნალ გაზეთების კანტორა იმერეთში ის. კვიცარიძესთან დავით ავალიანთან ილიკო მესხთან, ილიკო ნიჟარაძესთან, დომენტი ოყროშიძესთან, პ. ბოკერიასთან ლ. ლოლუასთან, გ. შავდიასთან, ნინა ლეკვეიშვილის ასულთან, ცერცვაძის ქალთან და სხვებთან. **ტფილისში** სახალხო გაზეთისა და თემის რედაქციებში. **ბაქოში** აქიმ ივანე ელიაშვილთან **თელავში** ივანე პაატაშვილთან **სიღნაღში** კახეთის ხმის რედაქციაში **ჭიათურაში** პლატონ ლეჟავასთან **ყვირილაში** კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში **აბასთუმანი** ნიკ. აბესაძესთან **წალვერში** ალ. ცირეკიძესთან **ხორაგაულში** ფოშტაში კ. ჯაფარიძესთან **მარელისში** მასწ. მ. დეკანოსიძესთან **მოლითში** მასწ. ს. ღამბაშიძესთან **სამტრედიაში** ის. სტურუასთან **აბაშაში** ალექსანდრე ესაკიასთან **ახალ—სენაკში** ვლადიმერ კვანტელიანთან და სამკითხველოში ლორთქიფანიძესთან **ფოთში** მიხა ესაკიასთან და კოსტა თელიასთან **ლანჩხუთში** შოთა ვადაჭკორიასთან, **ოზურგეთში** გიორგი მუმლაძესთან **ჩოხატაურში** გრ. თავდგირიძესთან **აცანაში შუხუთში ჩიბათში** და **ლესაში** ფერშალ ექვთიმე ორაგველიძესთან **ბათომში** ს. მდივანთან, განთიადის წიგნის მაღაზიაში და ბათომის გაზეთის რედაქციაში **ოჩამჩირეში** თეოფილე ხუსკივაძესთან **ნოსირში** მომხმარებელ საზოგადოებაში **ხობში** პროვიზორ ოგანეზოვთან **წინმძღვარიან კარში** ნესტორ ძიძიგურთან **ონში** ილია გოგიასთან **ალპანაში** სამსონ ფრუიძესთან **ზუგდიდში** იოსებ გოგიასთან **ხონში** კესარია მებუკის ასულთან მ. ქელიძესთან და მ. ჭავჭანიძესთან **სოხუმში** პლატონ გელოვანთან **ბანძაში** ესტატე მონივასთან **განჯაში** ტრიფონ თაბუკაშვილთან **ნოღალევში** აქსენტი ფარულავასთან **ნახუნავოში** ბეგლარ ფაღავასთან **მაღლაკში** ელენე ნიჟარაძის მეუღლესთან **ამაღლებაში** მარიამ ჩიჯავაძესთან **ბაღდათში** გ. ახვლედიანთან **მათხოჯში** ლავ. ძიძიგურთან **კავკავში** იასონ ლორთქიფანიძესთან **სადმელში, ჭრებალოში, სურამში, კურსებში, გორში, ბორჯომში სვირში** და **სიმონეთში სამკითხველოში. ქუთაისის გუბერნიის** სხვა დასხვა სოფელსა და დაბაში მელიტონ დოლაბერიძესთან. **გურიასა, რაჭასა** და **საზღვარგარეთ** ადგილებში გვეყოლება მოსიარულე აგენტი.

განცხადება.
ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ
**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**
მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

შექსპირი ქართულად!
გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.
**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**
შექსპირის
რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული ექნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** ღ შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს--1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.
წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

განცხადება.
**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში** მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.
მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს
ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვსიტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.
ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილი.

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა
იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:
არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების კრებული
პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის სააზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.
კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო.
რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.
ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.
პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

მუშაობს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ჟორჟოლაძეების
სამკურნალო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის‘‘.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები


ყველაზე იაფად.
შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.
კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში.
(თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.